ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1812580

ნომერი: AR1291627

თარიღი : 06.03.2015

გაცემის თარიღი : 31.03.2015

გაცნობის თარიღი : 31.03.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქერჩის ქუჩისა და იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩების გადაკვეთასთან (ნაკვეთი 36/040)/ ქალაქი თბილისი , ქერჩის ქუჩის დასაწყისში ა.გ.ს.-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ პაპუკაშვილი პ/ნ 01008044858
- თბილისი თ.აბულაძის ქ. N 22 ბ. 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 6 თებერვლის N1717883 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015

წლის 6 მარტს AR1291627 განცხადებით მომართა მარიამ პაპუკაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2015 წლის 6 თებერვლის N 1717883 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2015 წლის 6 თებერვლის N 1717883 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, ქერჩის ქუჩისა და იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩების გადაკვეთასთან (ნაკვეთი 36/040), შპს "დომინანტი"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.11.05.036.050) მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 06 თებერვლიდან 2018 წლის 06 თებერვლის ჩათვლით. დამკვეთად დაფიქსირდა შ.პ.ს. "დომინანტი" (ს/კ 429320479).

განმცხადებლის განმარტების თანახმად, 2014 წლის 28 ნოემბრის #AR1266876 განცხადებით წარმოდგენილ გეგმა-ნახაზებში, ტექნიკური შეცდომის გამო, გეგმის ექსპლიკაციაში არასწორად განხორციელდა საცხოვრებელი ფართობისა და შესაბამისად, საერთო ფართობის მაჩვენებლის ასახვა, რის გამოც, ექსპლიკაციაში განსაზღვრული ფართები არ შეესაბამება 2015 წლის 6 თებერვლის N1717883 ბრძანებაში მითითებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

შესაბამისად, დღესდღეობით განმცხადებლის მოთხოვნას წარმოადგენს 2015 წლის 6 თებერვლის N1717883 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის ცვლილება, კერძოდ კი, აღნიშნული ბრძანებისთვის AR1291627 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული გეგმის დართვა, სადაც გეგმის ექსპლიკაციაში მითითებული ფართები შესაბამისობაში იქნება 2015 წლის 6 თებერვლის N1717883 ბრძანებაში დაფიქსირებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთან.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ N AR1291627 განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაცია შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და დაადგინა, რომ განცხადებით წარმოდგენილი გეგმების ექსპლიკაცია შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და AR1291627 განცხადებით წარმოდგენილი გეგმა-ნახაზების სამსახურის 2015 წლის 6 თებერვლის N 1717883 ბრძანებისთვის დართვა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1.ტექნიკური შეცდომის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 6 თებერვლის N 1717883 ბრძანებას დაერთოს 2015 წლის 6 მარტის AR1291627 განცხადებით წარმოდგენილი გეგმა-ნახაზები.

2.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 6 თებერვლის N 1717883 ბრძანება სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელი;

3.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 6 თებერვლის N 1717883 ბრძანებასთან ერთად;

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან